ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 32

20 ნოემბერი, 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

17:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, მ. დარჩია, ა. ლაშხი, ვ. ძნელაძე, ე. კუხიანიძე, გ. გოცირიძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

1. გიორგი ახვლედიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. რიმა ბერაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ირაკლი ზარქუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. ჯაბა ჯიშკარიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. ქეთევან მამულაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. რევაზ სოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. ლევან დავითაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ირაკლი გვილავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
3. მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
4. კახაბერ გვანცელაძე - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი;
5. ირაკლი თურმანიძე - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
6. დავით ფანცულაია - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

   მომხსენებელი: ბატონი გაიოზ თალაკვაძე
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომა იმართებოდა საკრებულოს სარევიზიო კომისიასთან ერთად გაერთიანებული, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარადგინა დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომის დასაწყისში მოკლედ მიმოიხილა ის პროექტები და პროგრამები, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდა მათ შორის, ადრეული და სკოლამდელი განათლება, ზოგადი და არაფორმალური განათლება, აგრეთვე კულტურული ღონისძიებები და მათი ხელშეწყობის საკითხები; მუნიციპალური კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მოდერნიზების პროცესი და დედაქალაქის კულტურის სტრატეგიის დოკუმენტი. ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა ასევე, მადლობა გადაუხადა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებს სხდომაში მონაწილეობისთვის და სიტყვა გადასცა ბატონ გაიოზ თალაკვაძეს 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენისთვის.

მოისმინეს:

ბატონი გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თანახმად, ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია 1 020 000.0 ათას ლარით და მოსალოდნელია მისი გაზრდა. პრიორიტეტების მიხედვით კი ბიუჯეტი შემდეგნაირად არის გადანაწილებული: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა–აღდგენა _ 122 046.1 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება _ 269 046.9 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება _ 111 348.1 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა _ 7 127.5 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება _ 38 296.3 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა _ 151 695.8 ათასი ლარი; განათლება _ 168 559.6 ათასი ლარი, რომლის ძირითადი ნაწილი, საფინანსო სამსახურის უფროსის თქმით,

გათვალისწინებულია დედაქალაქის საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა _ 41 835.5 ათასი ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება _ 6 601.2 ათასი ლარი. ქალაქ თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები _ 103 442.9 ათასი ლარი.

ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პარამეტრების წარმოდგენის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა სხდომის კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელება.

საკრებულოს წევრი, ბატონი ირაკლი ზარქუა დაინტერესდა საქონლისა და მომსახურების საბიუჯეტო კოდის გაზრდისა და სოციალური პროექტების 160 მილიონი ლარიდან 150 მილიონ ლარამდე შემცირების მიზეზებით. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით, დაახლოებით 20 მილიონი ლარით მცირდება სახელფასო ფონდი.

ბატონი გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, სახელფასო ფონდის შემცირება გამოწვეულია სასწრაფო სამედიცინო სამსახურის გამოყოფით, ხოლო საქონლისა და მომსახურების გაზდრა - შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობის მატებითა და მუნიციპალური ინსპექციის მიერ დამატებით აღებული ვალდებულებებით; სოციალური პროგრამების ნაწილში კი აღნიშნა, რომ დროებით მცირდება შეღავათიანი მგაზვრობის საბიუჯეტო მუხლი, რომელიც 2020 წლის ცვლილების პროექტით გაიზრდება.

კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ტალიაშვილმა კითხვით მიმართა საქალაქო სამსახურის უფროსს, ბატონ ირაკლი გვილავას, გამგეობებში კულტურულ-ახალგაზრდული პროექტების (საბიუჯეტო კოდი 08 11) ასიგნებების განაწილებისას რაიონების სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. პასუხად ბატონმა ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ შეზღუდული საბიუჯეტო სახსრების პირობებში, გამგეობებს კონკრეტული კულტურულ-ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებებისთვის საჭირო სახსრების მობილიზებაში ეხმარება თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური კერძო სექტორის მონაწილეობით.

საკითხთან მიმართებით, ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ გამგეობებისთვის აღნიშნული კონკრეტული მიმდინარე ხარჯების გაზრდა ავტომატურად გამოიწვევს ბიუჯეტის სხვა მუხლის შემცირებას, ვინაიდან ბიუჯეტის მოცულობის მიუხედავად, მიმდინარე ხარჯების მოცულობა მაინც ვერ გაიზრდება, რის გამოც დგება საკითხი მუხლებს შორის თანხების გადანაწილების საჭიროებისა.

კომისიის თავმჯდომარემ საუბარი განაგრძო თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების პერსონალის შრომის ღირსეული ანაზღაურების შესახებ და აღნიშნა, რომ თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია, მსგავსად წინა წლებისა, კვლავ აყენებს მათთვის ხელფასების მატების აუცილებლობის საკითხს.

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორმა, ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ აღნიშნა, რომ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლებისთვის ხელფასების ზრდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, მსგავსად ყველა

მუნიციპალიტეტისა, 2020 წლის 1 სექტემბრიდან იგეგმება, რისთვისაც თბილისის ბიუჯეტში დამატებით 2 800 000 ლარია გათვალისწინებული, რის ფარგლებშიც, აღმზრდელ-პედაგოგის ანაზღაურება მინიმუმ 100 ლარით გაიზრდება.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლამდელი აღზრდა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებაა და დეცენტრალიზაცია სწორედ საკითხების მუნიციპალიტეტების სპეციფიკის გათვალისწინებით გადაწყვეტას გულისხმობს და ვინაიდან თბილისი განსხვავდება სხვა მუნიციპალიტეტებისგან, მათ შორის, პროდუქტებზე ფასებითა და საბავშვო ბაგა-ბაღებზე მოსახლეობის მოთხოვნის სიდიდით, მიზანშეწონილი იქნება 2020 წლის იანვრიდან მოემატოთ ხელფასები თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომლებს. დეპუტატმა ასევე ხაზი გაუსვა მეთოდისტებისთვის ხელფასების მატების მნიშვნელობას, რომლებმაც გადამზადების კურსები გაიარეს და ხელმძღვანელობენ მთლიანად საბავშვო ბაგა-ბაღის სააღმზრდელო მეთოდოლოგიას, რაზეც ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ აღნიშნა, რომ საკითხი გათვალისწინებული იქნება სახელფასო განაკვეთების დიფერენცირებისას, რომელშიც ჩართული იქნება თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე დააყენა თბილისის მუზეუმებისა და მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების თანამშრომელთა ხელფასების ზრდის საკითხი და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით თბილისის მერიისა და საკრებულოს ერთობლივი მუშაობით მოდერნიზების წარმატებული რეფორმა გატარდა, რის შედეგადაც მათი ფუნქციური დატვირთვა მნიშვნელოვნად გაიზარდა, მათ შორის, 2021 წელს თბილისი გამოცხადებულია წიგნის ქალაქად, არსებული ანაზღაურება კი იმდენად დაბალია, რომ ვერ უპასუხებს აღნიშნულ გამოწვევებს.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა ასევე ხაზი გაუსვა თბილისის კულტურის სტრატეგიის დოკუმენტს და აღნიშნა, რომ 2018 წელს ჩატარდა კვლევა, რის საფუძველზეც მოცემული დროისთვისაც მიმდინარეობს დოკუმენტზე მუშაობა, რომელიც 2020 წელს უნდა შეჯამდეს და საჭიროების შემთხვევაში საჯარო განხილვების საფუძველზე შესწორდეს, შესაბამისად, მიზანშეწონილია 85 000 ლარის გათვალისწინება.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ თბილისში ჯერ კიდევ არ არსებობს მუნიციპალური საკონცერტო სივრცე, რაც მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით რომ დედაქალაქში კულტურული ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული თანხების ძირითადი ნაწილი საიჯარო მომსახურებაზე მიემართება, შესაბამისად, მსგავსად წინა წლებისა, დეპუტატის თქმით, კომისია კვლავ აყენებს დღის წესრიგში კულტურულ-საფესტივალო სივრცის მოწყობის საკითხს.

კომისიის წევრმა, ბატონმა ერეკლე კუხიანიძემ აღნიშნა, რომ კომისიის თავმჯდომარის პატრონაჟით თბილისის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში დაიწყო საჭირო და სასარგებლო პროექტი ,,ნეიროპლასტიურობა'', რომელიც ბავშვებში სხვადასხვა ფიზიკური ტრავმებისა და გონებრივი განვითარების შემაფერხებელი გარემოებების გამოვლენას და შესაბამის პრევენციას გულისხმობს. შესაბამისად, დეპუტატის თქმით, მნიშვნელოვანია პროგრამის ყველა საბავშვო ბაგა-ბაღში დანერგვა.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ კომისიის ინიციატივით, თბილისის ყველა საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღში დაინერგა მულტიდისციპლინარული გუნდები, რაც აღსაზრდელთან ლოგოპედის, სპეც. პედაგოგისა და ფსიქოლოგის მუშაობას გულისხმობს და რომელიც ესტონეთიდან დელეგაციის წევრების მიერ დადებითად შეფასდა. კომისიის თავმჯდომარემ, ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის, ქალბატონი ირინა აბულაძის თქმით, სამინისტრო მუშაობს მულტიდისციპლინარული გუნდის მოდელზე, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით ყველა საბავშო ბაგა-ბაღში დანერგავს.

ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ ,,ნეიროპლასტიურობის'' პროგრამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სააგენტომ უნდა იმუშაოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. მისი თქმით, პროექტი ერთ ბაღში საპილოტედ უკვე დაინერგა და იგეგმება კიდევ ხუთ ბაღში საპილოტედ დანერგვა.

თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა რიმა ბერაძემ აღნიშნა, რომ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტი ისტორიული მოცულობის არის, რომელიც ორიენტირებულია მოქალაქეთა კეთილდღეობაზე, სოციალური პროგრამების განხორციელებაზე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, მათ შორის, ითვალისწინებს ძველი თბილისის რაიონების ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე გაზრდილ ასიგნებებს, რისთვისაც მადლობა გადაუხადა დედაქალაქის მერიას. დეპუტატმა, აგრეთვე მადლობა გადაუხადა ბატონ კახაბერ გვანცელაძეს ჩუღურეთის მოსახლეობის სახელით რაიონში ამორტიზირებული ბაღების ნაცვლად სრულიად ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობისთვის.

ქალბატონმა რიმა ბერაძემ აგრეთვე განმარტა, რომ თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მოკვლევის თანახმად, მოსახლეობის მხრიდან მენჯ-ბარძაყის სახსრის გამოცვლასთან დაკავშირებით მაღალი მომართვიანობის გამო მხოლოდ 5-10%-ის დაკმაყოფილება ხდება და შესაბამისად, სარევიზიო კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, შესაძლებლობის ფარგლებში, მიღებული ეკონომიებით აღნიშნული პროგრამის გაფართოება. საკითხთან მიმართებით, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაც მხარს უჭერს აღნიშნულ რეკომენდაციას.

ქალბატონი რიმა ბერაძის თქმით, სარევიზიო კომისიას აქვს შენიშვნები თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პროგრამის ფარგლებში ბიზნესის სტიმულირებისთვის საჭირო კვლევებთან დაკავშირებით, ვინაიდან არ ჩანს კონკრეტული მიღწეული შედეგები. დეპუტატმა ასევე ისაუბრა ბიუჯეტში არსებულ სხვადასხვა სახის ტექნიკურ ხარვეზებთან დაკავშირებით და ერთი და იმავე პროდუქტის ერთეულის ფასის მკვეთრ განსხვავებაზე სხვადასხვა რაიონში და მოუწოდა მერიის საფინანსო სამსახურის წარმომადგენლებს, გარკვეულ მომსახურებებზე სტანდარტული ფასის დაწესებისკენ.

ბატონი გაიოზ თალაკვაძის თქმით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გეგმავს რეფორმის გატარებას, რომლის ფარგლებშიც მოხდება მენჯ-ბარძაყის სახსრის გამოცვლის მომსახურებების გაწევა.

საუბარი გააგრძელა ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ და როგორც მან განმარტა, 2019 წელს სააგენტომ 12 ახალი საბავშვო ბაღი გახსნა; შეიცვალა დაზიანებული სახურავები, 41 ბაღში გარემონტდა შიდა ინტერიერი, ეზოები კეთილმოეწყო 60-მდე ბაღში. აგრეთვე განახლდა ინვენტარი, დეკემბრის თვეში კი საბავშვო ბაგა-ბაღებში შევა ახალი, ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოები. აქვე აღნიშნა, რომ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას, სააგენტომ მიმართა თხოვნით, რომ სათამაშოებში გათვალისწინებული იყოს ეკოლოგიურად სუფთა, ქართული წარმოების ხის სათამაშოებიც.

ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ განმარტა, რომ 2019 წელს დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტები 2020 წელშიც გაგრძელდება და ეტაპობრივად გაიხსნება ბაღები შემდეგ რაიონებში: სამგორში, ვარკეთილის III მასივში, ზემო პლატოზე, ისანში 2 ქუჩაზე, გლდანის 2 მრ/ნ-ში, კრწანისის რაიონში - ოქროყანის დასახლებაში, საერთო ჯამში კი მისი თქმით, 2019 წელს 12 ბაღის გახსნა იგეგმება. როგორც ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ აღნიშნა, ისეთ რაიონებში, სადაც მთავრობის 41-ე დადგენილების შესაბამისი სტანდარტის ფართის მუნიციპალურ ბალანსზე არსებული მიწები არ არის - ვაკე, ჩუღურეთი, საბურთალო, მომავალ წელს სააგენტო დაიწყებს არსებულ ბაღებზე დაშენების და მიშენების პროექტს, რათა მეტი აღსაზრდელის მიღება გახდეს შესაძლებელი.

სააგენტოს დირექტორმა ასევე ისაუბრა არსებული ბაღების მდგრადობის შემოწმებაზე, რის ფარგლებშიც ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე გამოვლინდა 14 ავარიული ბაღი, რომელიც საჭიროებს დემონტაჟს. ესენია: სამგორის N28, ისნის N26, N47 და N109, გლდანის N13, N14 და N50, დიდუბის N6 და N19, ჩუღურეთის N96 და N125, ნაძალადევის N43 და N84 ბაღები, ვარკეთილში ,,ვარკეთილის მეურნეობის ბაღი". ბატონი კახაბერ გვანცელაძის განმარტებით, აღნიშნული ბაღების აღსაზრდელები სხვადასხვა ბაღებსა თუ იჯარით აღებულ ფართებში არიან გადანაწილებულები.

კომისიის წევრი, ქალბატონი გულია გოცირიძე დაინტერესდა, გლდანის ,,ა" მიკრორაიონში N89 ბაღის შენობის საკითხით, რომლის აღსაზრდელები სხვა შენობაში არიან გადანაწილებული, რაზეც ბატონმა კახაბერ გვანცელაძემ განმარტა, რომ აღნიშნული ბაღი მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ გაწეული სამუშაოებისთვის მადლობა გადაუხადა ბატონ კახაბერ გვანცელაძეს, აგრეთვე, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს განხორციელებული პროგრამებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა მუნიციპალური კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთა დაბალი სახელფასო განაკვეთების შესახებ გააგრძელა საუბარი და მიმართა საქალაქო სამსახურის უფროსებს, რომ კომისია ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებულ რეკომენდაციებში ასახავს სახელფასო განაკვეთის ზრდის მიზანშეწონილობას. საკითხს გამოეხმაურა ქალბატონი მაკა ნასრაშვილი, რომელმაც სამეფო უბნის თეატრისა და ,,ბიგ ბენდის" მიმართებით გაამახვილა ყურადღება.

კომისიის თავმჯდომარემ მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის წინადადებით მიმართა ბატონ ირაკლი გვილავას, ვისი განმარტებითაც მიმდინარეობს ორი მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა, მათ შორის, ერთ-ერთი, რომელიც დიდ დიღომში აშენდება, მდებარეობს საბავშვო ბაგა-ბაღის მომიჯნავედ და მათაც ექნებათ შესაძლებლობა ისარგებლონ აღნიშნული სივრცით, მეორე ცენტრი კი ვარკეთილში აშენდება.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

გაიოზ თალაკვაძემ, თამარ ტალიაშვილმა, ირაკლი ზარქუამ, ირაკლი გვილავამ, კახაბერ გვანცელაძემ, ერეკლე კუხიანიძემ, რიმა ბერაძემ, მარიკა დარჩიამ, მაკა ნასრაშვილმა, გულია გოცირიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიმართ შემდეგი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარდგენის შესახებ:

- განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს, რომ 2020 წელს თბილისის კულტურის სტრატეგიის პოლიტიკის დოკუმენტის დასრულებისა და საჯარო განხილვის პროცესი უზრუნველყოფილი იყოს 85 000 ლარით. აღნიშნული სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის საჭიროებას კომისიამ გასულ წლებშიც არაერთხელ გაუსვა ხაზი, რის შედეგადაც 2018 წელს ჩატარდა მოქალაქეთა ინტერესების კვლევა, რომლის შეფასება-ანალიზის საფუძველზე 2019 წლის განმავლობაში მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული დოკუმენტის შექმნაზე.
- განათლებისა და კულტურის კომისია, გასული წლების მსგავსად, რეკომენდაციას უწევს ბიბლიოთეკების, მუზეუმების, ხელოვნების სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებისა და თეატრების საქმიანობის მოდერნიზებას და თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანას.
- დედაქალაქის გარეუბნების გაცოცხლების მიზნით, განათლებისა და კულტურის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, გაგრძელდეს კულტურული პროექტებისა და ღონისძიებების ორგანიზება თბილისის გარეუბნებში კომისიის სამდივნოს მიერ მაჟორიტარი დეპუტატების წარმომადგენლობებთან თანამშრომლობით შექმნილი საჯარო სივრცეების ბაზის მიხედვით.
- კონცერტებისა და სხვა კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად, დარბაზების საიჯარო ხარჯების დაზოგვის მიზნით, განათლებისა და კულტურის კომისია, გასული წლების მსგავსად, აყენებს მუნიციპალური საკონცერტო-საფესტივალო სივრცის დაფუძნების საჭიროების საკითხს. თბილისის საჯარო საბავშო ბაგა-ბაღებში თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული წარმატებული რეფორმების კვალდაკვალ, განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს, განხორციელდეს საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლების სახელფასო განაკვეთების ზრდა 2020 წლიდან.

- განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს თბილისის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული თანამშრომლების ღირსეული ანაზღაურების საკითხის დღის წესრიგში დაყენებას.
- განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს საბიუჯეტო პროგრამის „შემოქმედებითი თბილისი" (კოდის 08 09) ასიგნებების გაზრდას 800 000 ლარამდე, ვინაიდან პროგრამა წარმოადგენს სფეროში მოღვაწე შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობის ინოვაციურ პლატფორმას, რომელიც მოიცავს 4 მიმართულებას - საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, დიზაინისა და რეწვის ხელშეწყობა, აუდიოვიზუალური ხელოვნების ხელშეწყობა, ვიზუალური ხელოვნების ხელშეწყობა.

პროგრამა ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის დადგენილება №37-12-ის - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" - საფუძველზე, სადაც პროგრამის „შემოქმედებითი თბილისი" მიმართებით მე-3 მუხლის მე-8 ნაწილის „დ" პუნქტი ითვალისწინებს კონკურსის წელიწადში არანაკლებ ორჯერ გამოცხადებას. 2019 წელს, გამოყოფილი 400 000 ლარის ფარგლებში, კონკურსი გამოცხადდა მხოლოდ ერთხელ და მოქალაქეთა მხრიდან მაღალი მომართვიანობის შედეგად მოხდა გამოყოფილი საბიუჯეტო თანხის სრულად ათვისება, რის ფარგლებშიც დაფინანსდა 22 პროექტი. შესაბამისად, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საბიუჯეტო თანხების ამ მიმართულებით გაზრდა.

მომხრე _____ 6

წინააღმდეგი _____ 0

თავი შეიკავა _____ 0

ერთხმად გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, განხილვების დასრულების შემდგომ დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი